თემა 9

საგნები და სხეულები

Предметы и тела

ამოცანები:

- ვასწავლოთ ქართულის, როგორც მეორე ენის შემსწავლელ მოსწავლეებს, როგორ დასვან კითხვები მათ გარშემო არსებული საგნების შესახებ.
- პრაქტიკული მაგალითების საფუძველზე გავაგებინოთ / გავააზრებინოთ მოსწავლეებს, რა სხვაობა არსებობს საგნებს და ცოცხალი არსებების სხეულებს შორის.
- პრაქტიკული მაგალითების საფუძველზე ვასწავლოთ მოსწავლეებს ქართულისთვის სპეციფიკური განსხვავება ადამიანსა და სხვა ცოცხალ არსებებს შორის;
- ვასწავლოთ კითხვის სწორად დასმა - ***ვინ? რა?***
- ვასწავლოთ კონსტრუქციები: მაქვს (უსულო საგანი), მყავს (სულიერი).
- მოსწავლეები ისწავლიან: სხეულის ნაწილების სახელებს
- საგნების ფიზიკურ აღწერილობასა და ზომის აღმნიშვნელი ზედსართავების გამოყენებას (დიდი, პატარა, გრძელი, მოკლე)

გაკვეთილ(ებ)ის მიმდინარეობა:

1. მასწავლებელი კითხვებს სხვადასხვა მოსწავლეს უსვამს. ისინი პასუხობენ. შემდეგ ბავშვები ერთმანეთს უსვამენ კითხვებს (ვინ არის? რა არის?).

2. მასწავლებელი უკითხავს (/ ასმენინებს) ტექსტს:
(ტექსტი #9-1)

3. ტექსტში გამოყენებული კონსტრუქციების დასწავლა / გამოყენება.

4. ტექსტის დაზეპირება.

5. თამაში #9-1

ჯგუფი- 7-25 ბავშვი

თამაშის წესი: მოთამაშეები წრიულად დგანან ან სხედან. ერთი მოთამაშე დგას წრეში. თითოეულ მოთამაშეს ხელში უჭირავს რაიმე საგანი ან საგნის ფოტო. რაიმე ორი საგნის სახელი უნდა გამოცხადდეს. ამ საგნის მფლობელი ბავშვები ცვლიან საგნებს და ადგილებს ერთმანეთთან. შუაში მდგომი ბავშვი ცდილობს გაუცვალოს რომელიმე წრეში მდგომა ბავშვს

ადგილი. დაძახებაზე: „ყველამ გაცვალეთ ადგილები!“ ყველა ბავშვმა უნდა გაცვალოს ადგილი.

- ეს თამაში უფრო დინამიური, როცა ბავშვები დგანან და არ სხედან, თუმცა შეგიძლიათ ორივე სცადოთ.
- თავიდან რომ აირიდოთ შეხლა-შემოხლა, გააფრთხილეთ ბავშვები, რომ გაცვლის დროს ერთმანეთის შეხება არ შეიძლება. ის ვინც ვინმეს შეეხება, გადაინაცვლებს წრის შუაში.

თქვენ შეგიძლიათ დაავალოთ ბავშვებს მოიფიქრონ წინადადებები იმ საგნების შესახებ, რომელიც ხელში უჭირავთ. ან შეგიძლიათ თქვენ თქვათ წინადადება გაცვლამდე: „მე მიყვარს შოკოლადი და ნამცხვარი“, ხოლო ის ბავშვები, რომელთაც ხელში უჭირავთ შოკოლადის და ნამცხვრის ფოტო, გაცვლიან ადგილებს.
თამაში ზემოთ მოცემული ვარიანტის გარდა შესაძლებელია ასევე ისეც, რომ წრის შუაში არავინ იდგეს. გამოიძახეთ ორი საგანი და გაცვალონ ამ საგნის მფლობელებმა ადგილები. ეს ვერსია რეკომენდებულია პატარა ასაკის ბავშვებთან. მოზრდილებთან შეგიძლიათ ამის მსგავსად დაიწყოთ და როდესაც ბავშვებს გაუადვილდებათ ერთმანეთისათვის ადგილების გაცვლა, შეგიძლიათ წრის შუაში დადგომის ელემენტიც დაამატოთ თამაშს.

6. ტექსტზე დაყრდნობით, მზა კონსტრუქციების სხვა კონტექსტში გამოყენება.

7. ***მაქვს-მყავს*** დაპირისპირებაზე ორიენტირება. მასწავლებელი სურათებზე, შემდეგ კი - ნახატების გამოყენებით, ავარჯიშებს ბავშვებს სულიერი - უსულო საგნების გარჩევაზე (მაქვს - უსულო; მყავს - სულიერი).

8. ადამიანის სხეული. იხ. ტექსტი 9-2.

ამბავი:

სონა და ნიკა ბანერზე ადამიანის სურათს ათვალიერებენ. ნიკა ეკითხება სონას, თუ შეუძლია ადამიანის დახატვა. ლიზა ხატავს ადამიანს და ბავშვები ადამიანის სხეულის ნაწილების ჩამოთვლას იწყებენ.

9. მასწავლებელი ამეორებინებს ბავშვებს სონას მიერ დახატული სხეულის ნაწილების დასახელებას (იყენებს ასევე ბანერს).

10. თითოეულ ახალ ლექსიკურ ერთეულთან დაკავშირებით, მასწავლებელი ყველა ბავშვს სთხოვს, დახატონ სხეულის ეს ნაწილი და წარმოთქვან მისი სახელწოდება.

11. თამაში #9-2

ზედსართავი სახელები

კატეგორია- საუბარი, ზედსართავი სახელები

ჯგუფი- 2-დან 20 მდე, შესაძლოა მეტიც კარგი ყოფა-ქცევის ბავშვებთან

დონე- მოქნილი

გარემო- ნებისმიერი

მასალები- არანაირი

თამაშის წესი: მოსწავლეები დააყენეთ მწკრივში. მწკრივში ყოველმა მეორე ბავშვმა უნდა წარმოთქვას პატარა ლექსი, სადაც არის რამდენიმე ზედსართავი სახელი მაინც. საუბრის დროს ბავშვმა უნდა სცადოს ზედსართავი სახელის სხეულის მოძრაობით გამოხატვა. მაგ. დიდი- შეუძლია ხელები გაშალოს განზე ფართოდ, მაღალი- შეუძლია ხელები აწიოს ზემოთ....მის წინ მდგომმა ბავშვმა, შემობრუნების გარეშე უნდა შეძლოს გამოიცნოს მის უკან მდგომი (ლექსის მთქმელი) ბავშვი მაღალია თუ დაბალი. თამაში გრძელდება რიგის მიხედვით. შეგიძლიათ გამოიყენოთ როგორ ზედსართავი სახელები, ასევე ზმნიზედები. ამ თამაშის ადაპტირება შეგიძლიათ საჭიროების მიხედვით და შესაბამისი სიტყვების ჩართულობით.

12. მოსწავლეები ერთმანეთს უსვამენ კითხვებს სხეულის ნაწილების ამოცნობაზე.

13. გამეორება: რიცხვითი სახელები, ანგარიში (მივუმატოთ - გამოვაკლოთ, უდრის...); ტექსტი 9-3:

„ერთს რომ ერთი მივუმატოთ,
რამდენია, ბაჭიავ?
არ დაიბნა ბაჭია,
2 ყური ასწია!“

ლექსიკა	ძირითადი ფრაზები/წინადადებები/გრამატიკა
• სკამი • მაგიდა • ფანჯარა • კარი • საგანი • სხეული • თავი • კისერი • ხელი • ფეხი • თვალი • ყური • პირი • ცხვირი • ნაწილ(ებ)ი • დაიბნა • ასწია • ბაჭია	საგანი უსულოა ადამიანი და ცხოველი სულიერია ადამიანი (მასწავლებელი, ბავშვი, ამინი, მარიბა, ალი, ზოხრა...) - ვინ არის? საგანი (სკამი, მაგიდა, ფანჯარა) • მას დიდი თვალები აქვს • მას ორი დიდი ყური აქვს • მას გრძელი მკლავები აქვს • მას მოკლე ფეხები აქვს • მას პატარა ცხვირი აქვს ზედსართავი სახელები - ანტონიმები (დიდი პატარა; გრძელი - მოკლე...)

რესურსები:

ბანერი:

6. სხვადასხვა საგანი და ნივთი: ქვა, ხე, მაგიდა, სკამი, ქუდი...), ადამიანი, ცხოველები (ძაღლი, კატა, ქათამი, თუთიყუში, ძროხა).